# EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)

## საპროექტო იდეების კონკურსი ეკონომიკური ღირებულებათა ჯაჭვის(ების) გასაუმჯობესებლად

ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის "EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი" (CESL) მიზანია საქართველოს მოსახლეობის შემოსავლის წყაროების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებიდან ადამიანების თბილისში მიგრაციის შემცირებას. აღნიშნულ პროექტს GIZ-ი ეროვნული ინიციატივის სახელად საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს.

CESL-ის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შემოსავლების შექმნის სტიმულირება (გამოუყენებელი ეკონომიკური პოტენციალის გააქტიურების გზით), შესაბამისად, პროექტისათვის საინტერესოა:

- რეგიონულ ან კონკრეტული ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელ ეკონომიკურ ღირებულებათა ჯაჭვებში არსებული სუსტი რგოლების იდენტიფიცირება და
- ფინანსების გამოყოფა მათ გასაძლიერებლად.

ამ მიზნით, CESL-ი **აცხადებს საპროექტო იდეების კონკურსს.**
მიღებული განაცხადების სათანადო შემოწმებისა და შეფასების შემდეგ, შესაძლებელი იქნება წარმოდგენილი იდეის დაფინანსება.

კონკურსის ძირითადი მოთხოვნები:

1. საპროექტო იდეა წარმოდგენილი უნდა იყოს არასამთავრობო[1] ორგანიზაციის მიერ, რომელიც: 1) რეგისტრირებულია და მოქმედებს ერთ(ან მეტ) აქ ჩამოთვლილ რეგიონში: გურია, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი.
2. საპროექტო იდეებს პირველ რიგში „საზოგადოებრივი კეთილდღეობის"[2] ხელშეწყობის მიზანი უნდა გააჩნდეს.
3. საპროექტო იდეა უნდა ეხებოდეს რეგიონული მასშტაბის და/ან კონკრეტულ ადგილთან (ან ადგილებთან) დაკავშირებულ ღირებულებათა ჯაჭვს - მაგალითად, არსებობს რეგიონისათვის დამახასიათებელი კონკრეტული პროდუქციის ან მომსახურებისთვის საჭირო მასალის (ან ნედლეულის) ადგილზე წარმოების რესურსი, მაგრამ ხდება მათი შემოტანა სხვა ტერიტორიიდან. ან პირიქით, რეგიონისთვის დამახასიათებელია კონკრეტული ნედლეულის წარმოება, მაგრამ მათგან სხვა საბოლოო პროდუქციის მიღება ხდება.

[1] ამრიგად, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაცია არ არიან შესაფერისი კანდიდატები. თუმცა, ცენტრალური ხელისუფლებისა/ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მაგ. სსიპ) მიერ დაფუძნებული დაქვემდებარებული ინსტიტუციები უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

[2] "საზოგადოებრივი კეთილდღეობის" მქონე პროექტები გულისხმობს იმგვარი საქმიანობის განხორციელებას, რომლის მიზანია განსაზღვრულ ტერიტორიაზე (მაგ. გარკვეულ მუნიციპალიტეტში ან რეგიონში) მცხოვრები ადამიანების სოციალური ან/და ეკონომიკური ან/და გარემოსდაცვითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

4. წარმოდგენილ საპროექტო იდეებში მკაფიოდ უნდა იყოს იდენტიფიცირებული ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ნაკლოვანებები და მოცემული უნდა იყოს მათი აღმოფხვრის გზები.
5. წარმოდგენილი საპროექტო იდეებით შემოთავაზებული საქმიანობა მაქსიმუმ 2025 წლის 27 სექტემბერს უნდა სრულდებოდეს.
6. საპროექტო იდეა არ უნდა იყოს კავშირში ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში არსებულ მიწასთან, ინფრასტრუქტურასთან (მათ შორის შენობასთან) ან საწარმოსთან.

დაინტერესების შემთხვევაში, ქართულ ენაზე შევსებული განაცხადები, თანდართული ფორმის გამოყენებით (დანართი 1.), უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტაზე: euitdcesl@giz.de. მაქსიმალური ბიუჯეტის ოდენობაა 225,000, ხოლო მინიმალური - 75,000 ლარი, თუმცა ამ თანხებზე მაღალი და დაბალი ოდენობაც შეიძლება იქნას განხილული. განცხადების მიღება სრულდება **2025 წლის 31 მაისს.**
განაცხადის მიღების შემდეგ, CESL-ი კომპლექსური შემოწმების შესაბამის პროცედურებს (იურიდიული ექსპერტიზა) განახორციელებს (რომლის დროსაც მოხდება აპლიკანტთან დაკავშირება და ადგილზე ვიზიტი). ამის შემდეგ მოხდება საპროექტო იდეის ამ დოკუმენტის შემდეგ გვერდზე მოცემულ კრიტერიუმებთან შედარება; ამ პროცესში, CESL-ის კომპლექსური შემოწმების შედეგებიც იქნება გათვალისწინებული. აპლიკანტებს ოფიციალურად ეცნობებათ შეფასების შედეგები.[3] დადებითი პასუხის შემთხვევაში, CESL-ი, აპლიკანტთან პროექტის შინაარსთან, მეთოდებთან და საკონტრაქტო საკითხებთან დაკავშირებით დეტალურ მოლაპარაკებებს გამართავს. (სავარაუდოდ კონტრაქტი საგრანტო დაფინანსების სახით იქნება გაფორმებული, რომელიც GIZ-სა და აპლიკანტს შორის დაიდება). გაითვალისწინეთ, რომ კონტრაქტი გაფორმდება მხოლოდ იმ იურიდიულ პირებთან, რომლებსაც განახლებული აქვთ ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად.

კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით CESL-ს რეგიონულ წარმომადგენლებს: nino.khukhua@giz.de (გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი), mariam.zhorzhikashvili@giz.de (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი) და zurab.tsignadze@giz.de (კახეთი, ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი).

[3] გაითვალისწინეთ, რომ თუ განაცხადები არ შეესაბამება ზემოთ მოცემულ ექვსი ძირითადი მოთხოვნიდან თუნდაც ერთ-ერთს, შეფასება ან აპლიკანტებთან დაკავშირება არ მოხდება.

**შეფასების კრიტერიუმები და ქულების მინიჭების სქემა**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია განაცხადების შეფასების კრიტერიუმები და ასევე ქულების მინიჭების სქემა. თითოეულ განაცხადს 0-დან 10-მდე ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ენიჭება[4]. შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად საჭირო „მინიმალურ“ ქულად ითვლება 6. ამის შემდეგ ხდება თითოეული ქულის გამრავლება შესაბამისი კრიტერიუმის წონის მიხედვით, რის შედეგადაც მაქსიმალური ქულის გამოთვლა მოხდება (თუმცა ეს მაქსიმალური ქულა 1,000-ზე მეტი ვერ იქნება). მოსალოდნელია, რომ CESL-ი აპლიკანტთან მოლაპარაკების ეტაპზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა თუ საპროექტო იდეა 700 (ან მეტ) ქულას მიიღებს (ამასთან ერთად, აღნიშნულმა იდეამ თითოეულ კრიტერიუმში გამსვლელი ქულები უნდა მიიღოს).

| **კრიტერიუმი** | **ქულების დიაპაზონი** | **გამსვლელი ქულა** | **წონა** | **წონაზე გამრავლების შემდეგ მიღებული ქულა** |
|---|---|---|---|---|
| რელევანტურობა | 0-დან 10-მდე | 6 | 35 | 210 |
| განხორციელებადობა | 0-დან 10-მდე | 6 | 35 | 210 |
| მდგრადობა | 0-დან 10-მდე | 6 | 15 | 90 |
| მონდომების ხარისხი | 0-დან 10-მდე | 6 | 15 | 90 |
| **სულ** | | | | **600** |

მეტი სიცხადისთვის, ქვედა ცხრილში მოცემულია თითოეული კრიტერიუმი, რომელსაც შესაბამისი ძირითადი კითხვები მოჰყვება.

[4] 0-დან 1.9-მდე – ძალიან ცუდი, 2-დან 3.9-მდე – ცუდი, 4-დან 5.9-მდე – არადამაკმაყოფილებელი; 6 – დამაკმაყოფილებელი; 6.1-დან 7.9-მდე – კარგი, 8-დან 10-მდე – შესანიშნავი.

| კრიტერიუმი | ძირითადი კითხვები |
|---|---|
| **რელევანტურობა** | • იდენტიფიცირებული ღირებულებათა ჯაჭვი რეალურია და საკმარისად კონკრეტულია, რათა CESL-ის პროექტის ფარგლებში მასზე მუშაობა განხორციელდეს (მაგალითად „ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვი“ ძალიან ბუნდოვანი ტერმინი იქნებოდა).<br>• ღირებულებათა ჯაჭვი ან რეგიონული მასშტაბისაა ან კონკრეტულ ადგილს ეხება (ან ორივე).<br>• ღირებულებათა ჯაჭვი ფარავს განაცხადში მოცემულ ერთ-ერთ რეგიონს მაინც.<br>• ღირებულებათა ჯაჭვში იდენტიფიცირებული ნაკლოვანება რეალურად არსებობს და მის აღმოფხვრაზე მუშაობა ღირს (მაგალითად, ის არ არის იმდენად მცირე ნაკლოვანება, რომ მისი აღმოფხვრა დიდ ცვლილებას არ გამოიწვევს (მაგალითად შესაბამისი აქტორების შემოსავლების კუთხით)) .<br>• შემოთავაზებულ პროექტს საზოგადოებრივი სარგებლის მოტანის მკაფიო მიზანი გააჩნია.<br>• შემოთავაზებული პროექტი კერძო ინვესტორის მიერ (მარტივად) ვერ განხორციელდება - მაგალითად, ნებისმიერი სახის სახელმწიფო დაფინანსებით კერძო სექტორის ჩანაცვლება ვერ ხდება.<br>• შემოთავაზებული პროექტის არსებული ნაციონალური პროგრამების ფარგლებში (მარტივად) დაფინანსება ვერ მოხდება. |
| **განხორციელებადობა** | • ღირებულებათა ჯაჭვში იდენტიფიცირებული ნაკლოვანების აღმოფხვრაზე მიმართული გადაწყვეტის გზა დამაჯერებელია; აღნიშნული გადაწყვეტა პირველ რიგში ამ ნაკლოვანების არსებობის მიზეზს ითვალისწინებს.<br>• აღნიშნული გადაწყვეტის განხორციელებისთვის შემოთავაზებული აქტივობები: 1) რეალისტურია; 2) მითითებულ ბიუჯეტს შეესაბამება; 3) შესაძლებელია რომ დასრულდეს 2025 წლის 27 სექტემბრამდე.<br>• მოსალოდნელია, რომ საზოგადოებრივი სარგებლის მიღება პროექტის განხორციელების ბოლოს (ან პროექტის დასრულებიდან ცოტა ხანში) იქნება შესაძლებელი.<br>• აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ იურიდიულ პირს (პირებს) შესაბამისი შესაძლებლობები/პოტენციალი გააჩნია.<br>• პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული მფლობელობასთან და გამოყენების უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი (მაგალითად მიწის ან ქონების მფლობელობასთან/გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული საკითხი) მოგვარებულია (მაგალითად, საპროექტო იდეის ავტორი იურიდიული პირი ფლობს ან აქვს უფლება რომ გამოიყენოს ის შენობა, სადაც ახალი აღჭურვილობა უნდა იქნას დამონტაჟებული). |

| კრიტერიუმი | ძირითადი კითხვები |
|---|---|
| **მდგრადობა** | • პროექტის დასრულების შემდეგ არსებობს ნათელი და დამაჯერებელი გზა მისი შედეგების შესანარჩუნებლად (მაგალითად პასუხისმგებელ ორგანიზაციებს აქვთ სახსრები საგრანტო დაფინანსებით შეძენილი აღჭურვილობის მოვლა-პატრონობისთვის).<br>• პროექტის განხორციელების შემდგომი პერიოდისთვის გამოყოფილ პასუხისმგებელ პირს (პირებს) აქვს შესაბამისი შესაძლებლობები და დაინტერესება. |
| **მონდომების ხარისხი** | • პროექტის განხორციელებაზე და პროექტის დასრულების შემდგომი პერიოდისთვის გამოყოფილ პასუხისმგებელ პირი (პირები) პროექტის მიმართ ინტერესს გამოხატავს (მაგალითად ენთუზიაზმის, ორგანიზაციის ბუნებიდან გამომდინარე ან შესაძლოა კომერციული დაინტერესების სახით).<br>• დაგეგმილია ისეთი დამატებითი აქტივობების განხორციელება, რომლებიც არ არის CESL-ის პროექტით გათვალისწინებული (მაგალითად ისეთი აქტივობები, რომელთა განხორციელებას თავად აპლიკანტი დამოუკიდებლად აპირებს).<br>• დაგეგმილია დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფა, რომლებიც CESL-ის პროექტით არ არის გათვალისწინებული (მაგალითად სხვა წყაროებიდან გამოყოფილი სახსრები - აპლიკანტის საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ან საქართველოს სახელმწიფო პროგრამებისგან მოზიდული სახსრები) |

## დანართი 1

# განაცხადის ფორმა

*წინამდებარე ფორმის შევსებასთან დაკავშირებული რჩევები დახრილი ასოებით არის დაბეჭდილი, საბოლოო ფორმაში ეს რჩევები არ უნდა იყოს მოცემული.*

| ზოგადი ინფორმაცია | |
|---|---|
| **აპლიკანტი** | *მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი/დასახელება, პირადობის ნომერი (სადაც ეს რელევანტურია) და იურიდიული სტატუსი* |
| **საკონტაქტო პირი** | *მიუთითეთ პირის სახელი და გვარი, პოზიცია, ელ. ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი.* |
| **პროექტის დასახელება** | *მიუთითეთ პროექტის დასახელება. სათაური ერთ ხაზს არ უნდა აღემატებოდეს* |

| პროექტის შინაარსი | |
|---|---|
| **რეგიონები** | *მიუთითეთ, განაცხადში მითითებულ რომელ რეგიონს ეხება საპროექტო იდეა.* |
| **ღირებულებათა ჯაჭვი** | *აღწერეთ საპროექტო იდეით დაფარული ღირებულებათა ჯაჭვი, მათ შორის შესაბამისი გეოგრაფიული არეალი.* |
| **ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ნაკლოვანება** | *აღწერეთ ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილი ნაკლოვანება.* |
| **ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ნაკლოვანების მიზეზი** | *ახსენით რატომ არსებობს ღირებულებათა ჯაჭვში იდენტიფიცირებული ნაკლოვანება (მაგალითად ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა კომერციულად არ არის მიმზიდველი და შესაბამისად მას კერძო სექტორი არ აქცევს ყურადღებას).* |
| **შემოთავაზებული გადაწყვეტის გზა** | *აღწერეთ ღირებულებათა ჯაჭვში იდენტიფიცირებული ნაკლოვანების აღმოფხვრის შემოთავაზებული გზა.* |
| **საზოგადოებრივი სარგებელი** | *აღწერეთ, თუ რა საზოგადოებრივი სარგებლობის მიღებაა მოსალოდნელი ღირებულებათა ჯაჭვში იდენტიფიცირებული ნაკლოვანების აღმოფხვრის შედეგად.* |
| **აქტივობები** | *აღწერეთ რა აქტივობებია განსახორციელებელი (და ვის მიერ) იმისთვის, რომ აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრის, თქვენს მიერ, შემოთავაზებული მეთოდი განხორციელდეს.* |
| **პროექტის განხორციელების შემდგომი პერიოდი** | *აღწერეთ რა უნდა გაკეთდეს (და ვის მიერ) პროექტის დასრულების შემდეგ (ანუ საგრანტო დაფინანსების დასრულების შემდეგ) - მაგალითად აღჭურვილობის მოვლა-პატრონობა და შესაბამის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული აქტორებისთვის ამ აღჭურვილობის გამოყენების შესაძლებლობა.* |
| **განმახორციელებელი მხარეების შესაძლებლობები** | *აღწერეთ პროექტის დასრულების შემდგომ პერიოდზე პასუხისმგებელი პირების და/ან ორგანიზაციების შესაძლებლობები (რითაც ნაჩვენები იქნება, რომ ამ აქტივობებისა და პროექტის შემდგომი პერიოდის წარმატებით განხორციელების კარგი შანსი არსებობს).* |

| გრაფიკი და ფინანსები | |
|---|---|
| **განხორციელების პერიოდი** | *აღნიშნეთ პროექტის განხორციელებისთვის ნავარაუდევი პერიოდი (პროექტის დაწყების თარიღი და თვეების რაოდენობა)* |

| **გრაფიკი და ფინანსები** | |
|---|---|
| **სავარაუდო ბიუჯეტი ლარებში** | *მიუთითეთ პროექტის მთლიანი სავარაუდო ბიუჯეტი ლარებში (მათ შორის ყველა წყაროდან მიღებული დაფინანსება).* |
| **დაფინანსების წყაროები** | *ჩამოთვალეთ დაფინანსების სავარაუდო წყაროები და თითოეული წყაროსგან მოსალოდნელი თანხები ლარებში (მაგ. GIZ-ისგან, აპლიკანტისგან გამოყოფილი ან სხვა წყაროებისგან).* |

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის შეხედულებებს.